ცნობის ფურცელი

№ 2555 პარასკევი, 16 ივლისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2555

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში განკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რიგის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.
ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტიკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679.
(0—142)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.
მ. ტ. ყულიძე.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.
არ. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. 1—3 საათამდე.
ვ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველდღე.
მძ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.
დ. მ. მღინძი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემ.აწმენდა ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.
ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

ა. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. ოთხშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაკტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
(წლ.) ტელეფონი № 274.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყორღანოვის ქ., № 16. საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 12—2 ს., საღამოთი 6—8 ს., სამშაბათობით მხოლოდ საღამოობით. კიროჩნის და დიდი მთავ.ის ქუჩ. კუთხე, სახლი სვანიშვილისა № 11 (კიროჩნის ქუჩიდან).

ქუთაისში
სასტუმრო „როსია"
ამ 1904 წლის პირველ მარიამობისთვიდან გადადის ნიკოლაძის სახლებში გიმნაზიის ქუჩაზე ქალაქის ბულვარის პირდაპირ მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის გვერდით.
(15—კ. 6.—13).

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ.ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

შავი-ქვის მრეწველთა კრების საბჭო

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნება-რთვით, საბჭო ამა წლის სექტემბრიდან დაბა ჭიათურაში აარსებს ექვს კლასიან საქალაქო სასწავლებელს, რომელსაც არ ექნება ორი პირველი განყოფილება.

საბჭო სთხოვს იმათ, ვისაც სურვილი და უფლება აქვთ მიიღონ ხსენებულ საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორისა, სალმრთო სჯულის მასწავლებლისა და მასწავლებლის ადგილები, გაჰგზავნონ ქუთაისს, მრეწველთა საბჭოში თავისი განცხადებანი 26 ივლისამდე. ამასთან სასურველია, განცხადებებში აღნიშნული იყოს, მთხოვნელებს ჰქონიათ თუ არა პრაქტიკა ქართულ ენის მასწავლებლობისა, ხაზვისა და ხატვისა. ჯამაგირი ექნება: ინსპექტორს—1760 მანეთი, სალმრთო სჯულის მასწავლებელს—480 მან. და მასწავლებელს 1008 მან. (3—6.—2)

რედაქციისაგან.

გაზეთი
„ცნობის ფურცელი"
1-ლ ივლისიდან წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 50 კ.
1-ლ აგვისტოდან „ „ „ 3 მ. — „
ადრესის გამოსაცვლელად—ვინც ერთი ქალაქიდან მეორეში გადადის, უნდა გადაიხადოს 40 კ. ვინც ტფილისიდან გადის—1 მან.

ყოველ დღიურ გაზეთ
„ცნობის ფურცელი"-ს
ნომრები იყიდება საქართველოს შემდეგ ადგილებში: გორს, ბორჯომს, სამტრედიას, ყვირილას, ჭიათურას, ქუთაისს, ბაღდადს, ხონს, ოზურგეთს, ბათუმს, სოხუმს, ფოთს, ახალსენაკს, ზუგდიდს, სიღნაღს და თელავში. ტფილისის ყველა გამყიდველთან. ყველგან გაზეთის ნომერი ღირს 3 კ. ხოლო სურათებიან დამატებით—5 კ. თუ ვისმეს სურს, აქ არ ჩამოთვლილ ადგილებში გაზეთების ნომრების გაყიდვა იკისროს, ვთხოვთ რედაქციას მიჰმართონ წერილით.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 ივლისი

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა, მისს უდიდებულესობის სახელზე გამოგზავნილი 13 ივლისს: „12 ივლისს, ნაშუადღევის მეორე საათზე, იაპონელებმა დაიჭირეს დაშიჩაო. ჩვენს ჯარებს, რომელნიც უკან იწეოდნენ, მტერი ცოტა ხანს ესროდა ზარბაზნებსა და თოფებს. იაპონელთა ქვეითა ჯარის ერთმა დივიზიამ წინ წაიწია ჩრდილოეთისაკენ, დაშიჩაოდან ხაიჩენს მიმავალ დიდ გზაზე. 10 და 11 ივლისს მომხდარ ბრძოლებისა და ჩვენის ზარალის შესახებ დაწვრილებითი ცნობები ჯერ არ მიმიღია. სიუნიანიდან დალინის უღელტეხილზე, 12 ივლისს, წინ წამოვიდა იაპონელთა ორი ბატალიონი ხუაგოს ხეობისაკენ. იმათ თოფები დაუშინა ჩვენმა სადარაჯო რაზმმა, რომელსაც პოზიცია ეჭირა მაღლობზე ნანგუალინთან. იაპონელთა წინა როტა უწეს-რიგოდ გაიფანტა; მას 50 კაცამდე დაუჭრეს და მოუკლეს. 12 ივლისს იაპონელნი წინ აღარ წამოსულან. 13 ივლისს, დილის 5 საათიდან იაპონელების ორმა ბატარეამ ზარბაზნების სროლა დაიწყო სიაოკუშანსა და ტუშუფანიდან, მაგრამ მალე ისევ შეწყვიტა. 13 ივლისს, შუადღემდე, მტერი წინ აღარ წასულა. ლიაოიან-ფინხუანჩენისა და ლიაოიან-საიმაძის შუა სრული სიწყნარეა."

მუკდენი. 13 ივლისი. (საკუთ. კორესპ.). რუსების ჯარების სამხრეთ ფრთეს 11 და 12 ივლისს ბრძოლაში ხელმძღვანელობდა გენერალ-ლეიტენანტი ზარუბაევი, ციმბირის ჯართა მე-4 კორპუსის უფროსი. ბრძოლის დროს აღმოჩნდა, რომ იაპონელებს გამოელაშქრნათ უღელტეხილებიდან სიმუჩენისა და ხაიჩენისაკენ. ამ გარემოებამ აიძულა გენერალი ზარუბაევი, თანახმად წინ-და-წინ მიღებულ ბრძანებისა, უკან დაწეულიყო დაშიჩაოდან ჩრდილოეთისაკენ. ჩვენმა ჯარმა სრულის წეს-რიგით დაიწია უკან და იაპონელებს არც განუზრახავთ მისი დევნა.

ვლადივოსტოკი. 14 ივლისი (საკუთ. კორესპ.). ჩიფუდან იუწყებიან, რომ ნავთსადგურ მოჯში, მუშაობენ დაზიანებულ ტრანსპორტებისა და სხვა გემების შესაკეთებლად. ტრანსპორტი „სადომარუ", რომელიც ვლადივოსტოკის ესკადრამ დააზიანა, ბუქსირით წაიყვანეს მოჯში. დასახმარებლად მოვიდა სანაპირო სამხედრო გემი, მაგრამ მალე გაირიყა. ამ გემს მიაშველეს ორი ტრანსპორტი, მაგრამ ესენიც გაირიყნენ. ერთ გემს დაემსხვრა წინა ნაწილი, ერთი ტრანსპორტი-კი ჩაიძირა.—ვლადივოსტოკის საავადმყოფოში წევს 9 იაპონელი მეზღვაური, ტრანსპორტ „იცუმიმარუ"-ზე დატყვევებული. მეზღვაურნი მადლობელნი არიან კარგ მოვლისათვის.

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა, მისს უდიდებულესობას 13 ივლისს: „საღამოს 11 საათზე, გენერალ-ლეიტენანტ ზარუბაევისაგან მივიღე შემდეგი დეპეშა: „11 ივლისს, დილის 5 საათზე, 10 ივლისს თავმოყრილმა იაპონელებმა იერიში მოიტანეს და წინ წამოვიდნენ. ჩემმა ჯარმა დაიჭირა პოზიციები ნანდალინთან, სიმაღლეები ციანჯაიძის სამხრეთით. იაპონელებმა ამ ადგილებს სროლა დაუწყეს. სროლა არ შეწყვეტილა 15 საათის განმავლობაში. 6 საათზე მტერმა ყუმბარები დაუშინა იმ ჯარსაც, რომელიც ციანჯაიძნანდალინთან იდგა. სროლა გაძლიერდა დილის 7 საათზე. იაპონელები უმთავრესად იმ პოზიციას უმიზნებდნენ, რომელიც ციანჯაიძის სამხრეთით მდებარეობს. დაფანშენისკენ აღმოჩნდა იაპონელთა ერთი ბატარეია, რომელიც სოფელს ესროდა. ჩვენ პოზიციის პირ-და-პირ ნანდალინთან, ტანჩის მხარეს, მტერი არ აღმოჩნდა. 11 საათის დასასრულს თან-და-თან გამოირკვა, იაპონელებს რა ადგილები ეჭირათ და იმათი ჯარი რანაირად იყო დარაზმული მანძიატუნ-იანცაგოუ-დაფანშენის მიდამოებში. მტერმა ყუმბარები დაუშინა უმთავრესად იმ ჯარს, რომელიც ციანჯაიძის სამხრეთით სიმაღლეებზე იდგა. ამ დროს იაპონიის ქვეითა ჯარის ორმა ბატალიონმა დაიჭირა გორა, რომელიც დაფანშენის ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ მდებარეობს, მაგრამ ვერ გაუმაგრდა ჩვენ ზარბაზნებს და გაიქცა. ჩვენი ყუმბარები მტრის რაზმის შუაგულში ეცემოდა. 11 საათზე იმ ჩვენ ჯარს, რომელიც ციანჯაიძისთან სიმაღლეებზე იდგა, იაპონელებმა ყუმბარები დაუშინეს სამ-ოთხ ბატარეიდან. ჩვენმა ორმა ბატარეამ მოფარებულ ადგილიდან დაიწყო სროლა დაფანშენისკენ და ხელად შეამცირა მტრის ბატარეების ძალა. 11 საათისთვის ციანჯაიძისთან მყოფ ჯარის მისაშველებლად გაიგზავნა ზურგის ჯარიდან ბატარეია. ჩვენმა ზარბაზნებმა თვალსაჩინოდ შეასუსტეს მტრის ბატარეები. ნაშუადღევის 2 საათისთვის მთელმა ჩვენმა არტილერიამ პირი იბრუნა და სროლა დაუწყო დაფანშენს. ამ ადგილს ჩვენი ზარბაზნები ისე მარჯვედ მოქმედებდა, რომ ჩვენმა ჯარმა სცადა იერიშის მიტანა იაპონელთა მარჯვენა ფრთეზე. მაგრამ გაგზავნილმა ბატალიონმა ხელად გამოარკვია, რომ იაპონელებს მრავლადა ჰყავთ ზურგის ჯარი. ბატალიონი ძლიან დაზარალდა და იძულებული გახდა უკან დახეულიყო. ამავე დროს იაპონელებმა ვანჩანგოუსთან სიმაღლეებზე დადგეს 3 ბატარეია. ნაშუადღევის 4 საათისთვის იაპონიის ქვეითა ჯარი სხვა რიგად დარაზმდა; ეტყობოდა, იაპონელებს უნდოდათ გაერღვიათ ჩვენი პოზიცია სოფ. ციანჯაიძის მხარეს, სადაც ბარნაულის პოლკი იდგა. ბრძოლის ველზე იაპონელთა 5—6 ბატალიონამდე გაჩნდა. მტერმა სროლა გააძლიერა. საღამოს 7½ საათზე საოცარი სროლა ასტეხეს, და ის იყო მზე ჩადიოდა, რომ იაპონელები საიერიშოდ დაეტაკნენ ბარნაულის პოლკს. ჩვენ პოლკს 3 ბატალიონი მივაშველეთ. ბარნაულის პოლკის უფროსი დობროტინი მარჯვედ დაუხვდა მტერს და 4-ჯერ ხიშტებით მიესია. ბარნაულის პოლკის სალდათებმა წაართვეს მტერს თოფები და ტყვია-წამალი, რომლის რაოდენობა ჯერ გამორკვეული არ არის. საღამოს 9 საათზე ზარბაზნების ხმა მისუსტდა, მაგრამ თოფების სროლის ხმა შუაღამემდის არ შეწყვეტილა. ჩვენ შევინარჩუნეთ ყველა ჩვენი პოზიცია. ბრძოლის გათავების შემდეგ გამოირკვა, რომ ჩვენი ჯარის 18 ბატალიონის წინააღმდეგ მოქმედებდა მტრის 2 დივიზიამდე. ამას გარდა იაპონელებს აუარებელი ზარბაზნები ჰქონდათ. პოზიცია გაჭიმული იყო 16 ვერსზე. ასეთ გარემოებაში შესაძლებლად არა ვსცან ბრძოლის განგრძობა მეორე დღეს და გადავსწყვიტე ჩრდილოეთისაკენ დაწევა. უკან სრულის წეს-რიგით დავიწიეთ. ზარალი ჯერ გამორკვეული არ არის, მაგრამ ვარაუდით დაგვაკლდა 20-მდე აფიცერი და 600-მდე სალდათი. აფიცრებს შორის მძიმედ დაიჭრა ტომსკის პოლკის უფროსი პოლკოვნიკი უსპენსკი. მოვალედ ვრაცხ აღვნიშნო, რომ ამ ბრძოლაში, რომელმაც 15 საათი გასტანა, ჯარი მამაცად იბრძოდა. განსაკუთრებით თავი იჩინეს ციმბირის პოლკებმა, რადგან უმთავრესად ამ პოლკებს მიესივნენ იაპოლები. პოზიციებზე ჩვენმა ჯარმა არსად ადგილი არ დაუთმო მტერს, თუმცა იგი გაცილებით მრავლად იყო. იაპონელებმა 4-ჯერ მოიტანეს იერიში ჩვენი ჯარის შუაგულზე და ოთხჯერვე საქმე ხიშტებამდე მივიდა, რასაც იაპონელები ვერ უძლებდნენ. იმათ სიას, ვინც ჯილდოს ღირსია, შემდეგ წარმოვიდგენ, ეხლა-კი საჭიროდ მიმაჩნია გაუწყოთ, რომ დიდი სიმამაცე გამოიჩინეს ტობოლსკის და ტომსკის პოლკებმა, სემიპალატინსკის პოლკის ორმა ბატალიონმა და განსაკუთრებით-კი ბარნაულის პოლკმა, რომელმაც დიდი სახელი მოიხვეჭა. დიდის ქების ღირსნი არიან ყველა ბატარეები, რომელნიც 15 საათის განმავლობაში მედგრად ებრძოდნენ მტერს. იაპონელების ზარალის რაოდენობას ვერ აღვნიშნავ, მაგრამ თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ იმათი ზარალი აღემატება ჩვენსას."

ალჟირი. („ჰავასის სააგ."). დაჭერილი გემი „მალაკკა" დღეს მოვიდა აქ რუსეთის დროშით.

ტოკიო. ვლადივოსტოკის ესკადრა ჩრდილოეთისკენ გაემართა. ამბობენ, „ნაიტ-კომანდერ"-ის ჩაძირვის შემდეგ კიდევ იაპონიის ერთი გემი ჩასძირესო. ვლადივოსტოკის ესკადრა 14 ივლისს გათენებისას ტოკიოს ნავთსადგურიდან 60 მილის სიშორეზე იყო. ესკადრა სამხრეთისკენ წავიდა. იაპონელების ზარალი დაშიჩაოსთან—800 კაცია.

ლონდონი. („რეიტ. სააგ."). პეტერბურგში გავრცელებული ხმები, ლონდონში რუსეთის საელჩოს წინ დემონსტრაცია მოახდინესო, სიმართლეს მოკლებულია.—სუეციდან იუწყებიან, რომ იქ მივიდა გემი „პოლსაცია" რუსეთის დობროვოლნი ფლოტის კრეისერის მეზღვაურებით, შემდეგ-კი განთავისუფლებულ იქმნაო. განთავისუფლებულია აგრეთვე გემი „ფორმოზა"-ც.

შანჰაი. („რეიტ. სააგ."). რუსეთის საგენერალო კონსულმა დაამოწმა ცნობა, რომ რუსების ნაღმიანმა გემმა დაჰლუპა 3 ივლისს გოლუბინაია ბუხტაში ინგლისის გემი „ჰიფსანგი". რუსები იმით ჰხსნიან თავის საქციელს, რომ გემმა გაჩერება არ ინდომაო.

(ომის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „რუსკი ინვალიდ"-ი სწერს: 4 ივლისის ბრძოლის დროს გრაფ კელლერმა კარგად შეიტყო იაპონელების ჯარის ძალა. გენ. კუროკის დიდი ჯარი ჰყოლია ფინხუანჩენ-ლიაოიანსა და საიმაძი-ლიაოიანის გზებზე. ეტყობა, იაპონელებს სამხრეთიდან რამდენიმე დივიზია ჩრდილოეთის მხარეს გადმოუყვანიათ: ერთი დივიზია, ალბად, მე-8, მარცხენა ფრთიდან ჩაპალინის უღელტეხილს ახლოს გადმოუყვანიათ; გვარდიის დივიზია ხელ-ახლად პირველ არმიაში გადმოუყვანიათ

ფინხუანჩენ-ლიაოიანის გზისაკენ; ეს დივიზია ეხლა ლიაოიანის დიდის გზის სამხრეთით მოქმედებს; მე-12 დივიზია ჩრდილოეთით გადაუყვანიათ საიმაძი-ლიაოიანის გზაზე; პორტ-არტურთან ერთი ახალი დივიზია (ან მე-6, ან მე-7) და ერთი სარეზვერო ბრიგადა მიუყვანიათ; დასასრულ მე-5 დივიზია ან მანჯურიაშია, ან არა და მალე გადმოვა ხმელეთზე; იქნება ეს დივიზია ინკოუშიაც გადმოიყვანონ. ეჭვი არაა, ბოლოს დროს იაპონელებმა სამსავე არმიას მანჯურიაში სარეზვერო ბრიგადებიც მოაშველეს. ცხადია, რომ ყველაზე მეტს ჯარს გენ. კუროკის არმიას მოაშველებდნენ, რადგან პირველ არმიას ყველაზე მძიმე საქმე შეჰხვდა წილად.

„ტაიმს“-ს დეპეშით ატყობინებენ: გენ. კუროკის მთავარ სადგომიდან: 9 ივლისი. დღეს წვიმამ დაუშო, ქარი ამოვარდა. იაპონელების შუა ჯარმა წინ წაიწია, მაგრამ რუსები, ეტყობა, სულაც არ აპირობენ დიდ ბრძოლას. ამბობენ, რუსის ჯარი თანდა-თან უკან იხევსო. („რ. ლ.“)

გერმანული გაზ. „ფოსიშე ცაიტუნგ“-ი სწერს: ზოგი ჰფიქრობს, ეხლა იაპონელები ხაიჩენისა და ლიაოიანისაკენ გაილაშქრებენო. არა გვგონია, რომ ეს აზრი სწორე იყოს. გენ. კუროკი ლიაოიანისა და მუკდენს შუა რკინის გზის დაჭერას აპირობს. მაშასადამე, გენ. კუროკისათვის ხაიჩენისა და ლიაოიანისაკენ გალაშქრება სულაც არაა საჭირო. საკმაოა, გენ. კუროკიმ თავის არმიის მარჯვენა ფრთა წინ წასწიოს და ლიაოიანს ზემოდ რკინის გზა დააჭერინოს. რასაკვირველია, გენ. კუროპატკინიც დიდ წინააღმდეგობას გაუწევს იაპონელებს. („ნ. დ.“).

ფრანგული გაზ. „ჟურნალ“-ი სწერს: რუსები მეტად ცოტა ცნობას ჰგზავნიან სამხედრო მოქმედების ასპარეზიდანაო. („რ. ლ.“).

ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ: ტოკიოში ჰფიქრობენ, პორტ-არტურზე ეხლაკი მალე მიიტანენ იერიშსაო. ადმირალ ტოგოს ესკადრა დამზადებული დგას პორტ-არტურთანაო.

პორტ-არტურიდან მოსულ ჩინელებს ულაპარაკნიათ ჩიფუში: ეტყობა, იაპონელები უმთავრეს იერიშს პორტ-არტურზე აღმოსავლეთის მხრიდან (დალნის მხრიდან) მიიტანენო. იერიშის დროს ქვეითა ჯარს იაპონიის ფლოტიც დიდ დახმარებას გაუწევსო.

„სტანდარდ“-ს ატყობინებენ შანხაიდან: აქ დიდ ამბებს მოელიან პორტ-არტურიდან. იაპონელელებმა პორტ-არტურის დასავლეთ მხარეს, უმთავრეს ფორტებიდან (სიმაგრეებიდან) ერთის მილის მანძილზე ერთი ფორტი დაიჭირეს და უმთავრეს სიმაგრეებს ზარბაზანი დაუშინესო. („რ. ს.“).

ხარბინიდან დეპეშით ატყობინებენ „პეტერბ. გაზეტა“-ს: დღეს რკინის გზის მატარებლით ხარბინში დაჭრილები მოიყვანეს; სხვათა შორის, გენ. რენენკამფიც მოვიდა. სულ 102 დაჭრილი მოიყვანესო.

ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, რომ 13-14 ივნისს დალინის უღელტეხილზე ბრძოლის დროს რუსებს 9 აფიცერი და 362 სალდათი დაჰკარგვიათ, მოკლული, დაჭრილი და დატყვევებული. იაპონელებს ამ ბრძოლის დროს 88 რუსი დაუტყვევებიათ. („რ. ვ.“).

„ეკო დე პარი“-ს კორესპონდენტი იუწყებოდა ამას წინათ: ბალტიის ესკადრა, შორეულ-აღმოსავლეთს რომ წავა, საფრანგეთში არც ერთი პორტში არ შეივლისო. ფრანგულმა გაზეთებმა დასწერეს ამის თაობაზე: ამ საქმეზე რუსეთსა და საფრანგეთს მოლაპარაკება ჰქონდათ გამართული და ერთმანეთის თანხმობით დაადგინეს, რომ რუსის ესკადრამ საფრანგეთში არ შეიაროსო. რუსეთის ელჩმა გამოაცხადა ფრანგულ გაზ. „ტან“-ში, ამ საქმეზე არავითარი მოლაპარაკება არა ყოფილა გამართულიო. („რ. ვ.“).

იაპონური გაზეთები სწერენ: ბალტიის ესკადრისა სულაც არ გვეშინია; სანამ შორეულ აღმოსავლეთს მივა, პორტ-არტურს ჩვენი ჯარი აიღებს, ვლადივოსტოკიც გაყინული დახვდებაო. შავის ზღვის კრეისერებისა ხომ ნამცეციც არ გვეშინიან. ეგაა, ეს კრეისერები საერთაშორისო ვაჭრობას აძლევენ ზარალსაო („ნ. დ.“).

„ხარბინსკი ვესტნიკ“-ში მანჯურიის საზღვრის დამცველთა უფროსის ბრძანებაა დაბეჭდილი. ბძანებაში ნათქვამია, ყველას, ვინც კი რკინის გზაზე გადავლას მოინდომებს, მაშინვე თოფს ესვრიან დარაჯები, არც ეროვნებას დაჰხედვენ, არც ხარისხსაო.

14 ივნისს მანჯურიის რკინის გზაზე მე-346 ვერსზე რელსები ააფეთქეს; მაშინვე ახალი რელსები დააწყეს; 15 ივნისს მე-360 ვერსზე ხუნხუზებმა ტელეგრაფის ბოძი ააფეთქეს. იმავე დღეს 200 ხუნხუზი შუანმიაძის სადგურსა და ორს ხიდს დაეცა. ამავე დროს 20 ხუნხუზმა მე-1,237 ვერსზე ტელეგრაფის ბოძი ააფეთქა და გზის დანგრევას ეცადა, მაგრამ დარაჯებმა მალე ვარეკეს ხუნხუზები.

ბრძოლა სიხეიანთან 6 ივლისს. 5 და 6 ივლისს ლიაოიანის გზაზე სიხეიანთანა და იმის მიდამოებში დიდი ბრძოლა ყოფილა. იაპონელებს სიხეიანი და იმისი მიდამოები დაუჭერიათ, რუსის ჯარს ლიაოიანისაკენ ანპინში დაუხევია.

იაპონიის საელჩომ ლონდონში გენ. კუროკის დეპეშა გამოაცხადა. გენ. კუროკი სწერს: 5 ივლისს იაპონელების პირველმა კოლონამ ლიაოიანის გზაზე, ლინშანგუანის ჩრდილოეთით, სიხეიანის ახლო სიმაღლეები დაიჭირა. რუსების პოზიციები სიხეიანთან ძლიერ იყო გამაგრებული. რაკი სიხეიანის უღელტეხილი ხელში ჩაიგდო, ჩვენმა კოლონამ თავისი უმთავრესი რაზმი დასავლეთისაკენ გაგზავნა, მერე მტრის მარცხენა ფრთისაკენ გაილაშქრა და 6 ივლისს გათენებისას რუსებს ზარბაზანი დაუშინა. მტერს 32 საველე ზარბაზანი ჰქონდა და მაშინვე პასუხი გაგვცა. ამავე დროს ჩვენი მეორე რაზმი მთის დიდ აღმართზე გადავიდა და მტრის მარჯვენა ფრთას გვერდიდან დაეცა. მტერმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია. გაიმართა საშინელი ბრძოლა. დილის 5 ს. 30 წ. ჩვენის ჯარის უმთავრესმა რაზმმა სიხეიანის ჩრდილოეთ-დასავლეთით სიმაღლეებზე მტრის პოზიცია დაიჭირა. ამავე დროს ჩვენმა მეორე რაზმმა მტრის მარჯვენა ფრთას სძლია და უკან დაახევინა. დილის 8 საათზე სიხეიანი და იმისი მიდამოები ჩვენ დაგვრჩა. ჩვენი ზარალი: 2 აფიცერი და 70 ჯარის-კაცი მოგვიკლეს, 16 აფიცერი და 336 ჯარის-კაცი დაგვიჭრეს. მტერმა ბრძოლის ველზე 131 მოკლული კაცი დასტოვა. რუსებს ამ ბრძოლის დროს მე-34 და მე-36 პოლკები ქვეითა ჯარი, და ერთი პოლკი ყაზახი ჰყავდათ და 32 საველე ზარბაზანი ჰქონდათ. („რ. ვ.“).

გერმანულ გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: ლიაოიანის გზაზე მოდულინის უღელტეხილის ჩრდილოეთით, სიხეიანთან 5 ივლისს რუსებმა იერიში მიიტანეს იაპონელების პოზიციაზე. მედგარის, გამწვავებულის ბრძოლის შემდეგ რუსებმა უკან დაიხიეს. 6 ივლისს დილით ბრძოლა ხელახლად დაიწყო. შანტანს ახლო იაპონელებმა იერიში მიიტანეს რუსის პოზიციებზე და თუმცა რუსები მეტად თავგანწირულად იბრძოდნენ, იაპონელებმა მაინც წაართვეს პოზიცია. რუსებს 1000 კაცი დაეკარგათ მოკლული და დაჭრილი, იაპონელებს 425 კაცი. („ბ. ვ.“).

„რეიტერის სააგენტო“ იუწყება: მოდულინის ჩრდილოეთ-დასავლეთით, ანპინის აღმოსავლეთით, გენ კუროკიმ რუსებს გამაგრებული პოზიცია დაატოვებინა მდინარე შიზე და დიდი ზარალიც მისცა. ბრძოლა 5 ივლისს დაიწყო, 6 ივლისს გათავდა. იაპონელებს 420 კაცი მოუკლეს და დაუჭრეს, რუსებს 1000 კაცი. გენ. კუროკი 5 ივლისს დილით მდინარე შის ნაპირ-ნაპირ რუსებს მისდევდა. რუსები ჩრდილოეთისაკენ მიდიოდნენ. ორი ბატალიონი 8 ზარბაზნით უცებ მოტრიალდა, იაპონელების მოწინავე რაზმს დაეცა და დიდი ზარალიც მისცა. რუსები შის ნაპირას გორაზე დადგნენ და თავიანთ პოზიციას თხრილები შემოავლეს. შუაღამის დროს იაპონელებმა ხელ-ახლად მიიტანეს იერიში რუსის პოზიციაზე. ჯერ ზარბაზანი დაუშინეს და მერე ქვეითა ჯარმა შტურმით აიღო რუსის პოზიცია. რუსებს 7 ბატალიონი ჯარი ჰყავდით. მტერს ბრძოლის ველზე 131 მოკლული, და 300 თოფი დარჩა. ამავე დღეს, 6 ივლისს, შოშიაპოს ახლო, ტაოკიენცის ჩრდილოეთით იაპონელებმა იერიში მიიტანეს რუსის ერთ ბატალიონ ქვეითა ჯარზე და 1000 ყაზახზე. რუსები მდ. ტაიძიხეს გაღმა გავიდნენ. იაპონელებს 17 კაცი დაუჭრეს. („რ. ს.“).

„რეიტერის სააგენტო“ იუწყება: გენ. კუროკის არმიიდან გვატყობინებენ, იაპონელებმა 6 ივლისს შანტანს ახლო იერიში მიიტანეს რუსების პოზიციაზე. სხვა-და-სხვა ცნობებიდან სჩანს, რომ არტილერიას დიდი მონაწილეობა მიუღია ამ გამწვავებულ ბრძოლაში. ბოლოს რუსებს უკან დაუხევიათო და ახალ პოზიციებზე დამდგარან.

„სენტრალ ნიუს“-ის სააგენტო იუწყება: იაპონელებს ჩანტოუსიან (შანტანთან) ბრძოლის დროს 300 კაცი დაეკარგათ, სხვათა შორის, მაიორი ხირაოკა მოუკლესო. ხირაოკა სამხედრო აგენტად იყო ინგლისის არმიაში სამხრეთ-აფრიკის ომის დროს. რუსებს 1000-ზე მეტი კაცი მოუკლეს და დაუჭრესო.

„დეილი ქრონიკლ“-ის კორესპონდენტი იუწყება გენ. კუროკის მთავარ-სადგომიდან 6 ივლისს შანტანთან ბრძოლის დროს იაპონელებმა რამდენიმე ზარბაზანი წაართვეს რუსებსაო. („ნ. დ.“).

ამ ცნობებში მოხსენებული ადგილები სულ ლიაოიანის გზას აკრავს, სიხეიანს ახლომახლოა.

ბრძოლა მოდულინის უღელტეხილთან, 4 ივლისს. ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ: 4 ივლისს მოდულინთან რუსებმა გენ. კელერის უფროსობით მეტად მედგარი იერიში მიიტანეს იაპონელებზეო.

„სტანდარდ“-ის ტიანძინელი კორესპონდენტი იუწყება: 4 ივლისს მოდულინთან იაპონელების არტილერიამ ისეთი საშინელი სროლა ასტეხა, რომ რუსებს უკან დაახევინაო. ამ ბრძოლის საქმეც არტილერიამ გადასწყვიტა. ყაზახებმა ბევრი ვერა გაარიგეს-რა, რადგან ბრძოლა 4 ივლისს მთა-გორიან ადგილებში მოხდაო.

„დეილი ექსპრეს“-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: დაწვრილებით ცნობებიდან სჩანს, რომ 4 ივლისს მოდულინთან გრაფ კელერის ორის დივიზიის იერიში იაპონელების ერთს დივიზიას მოუგერებია. ამბობენ, გენ. კუროპატკინს სრული იმედი ჰქონდა, რომ გენ. კელერი გაიმარჯვებდა და იაპონელებს ლიაოიანის გზაზე უღელტეხილებს წაართმევდაო. ამისთანა ცხარე ბრძოლა და ძლიერი სისხლის-ღვრა ამ ომში იქნება ჯერ არ მომხდარიყოს. რუსების ერთს როტას ფსიანიატუნგს ახლო სალდათები ყველანი ან მოუკლეს ან დაუჭრესო.

„ტაიმს“-ის კორესპონდენტი იუწყება: 4 ივლისს მოდულიანთან იაპონელების ერთმა დივიზიამ ორ რუსის დივიზიას გასცა პასუხი და ბოლოს უკან დაახევინაო.

„რეიტერის სააგენტო“-ს კორესპონდენტი იუწყება: 4 ივლისს 2 ათასამდე კაცი დაჰკარგეს რუსებმაო. ბრძოლის ველზე იმდენი გვამი ეყარა, რომ იაპონელებმა დასაფლავების ნაცვლად დასწვეს გვამებიო.

იტალიურ გაზ. „კორიერა დელა სერა“-ს საგანგებო კორესპონდენტი იუწყება: რუსებმა მოდულინთან, 4 ივლისს 3 ათასი აფიცერი და სალდათი დაჰკარგეს მოკლული და დაჭრილი, 2 ათასი ცხენი და რამდენიმე ზარბაზანიო.

ამ ბრძოლის დროს იაპონელების მე-2 დივიზიამ ისახელა თავი. იაპონიის იმპერატორმა მოსალოცი დეპეშა გამოუგზავნა ამ დივიზიას. („რ. ლ.“).

ახალი ამბავი

◆ კავკასიის სამხედრო სამკურნალო გამგეობამ შეატყობინა ტფილისის გუბერნატორს, რომ გამგეობა წინააღმდეგი არ იქნება, თუ **საეჭვო ავადმყოფებს შესამოწმებლად** სამხედრო ლაბორატორიაში გამგზავნიანო. ამ შემთხვევაში ექიმები უნდა მოიქცნენ სამხედრო სამკურნალო გამგეობის მიერ გამოცემული ინსტრუქციის თანახმად.

◆ **ტფილისის გუბერნატორმა** შეაჩერა დამტკიცება ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებისა თვითმართველობის მოხელეთათვის დამატებით ჯამაგირების მომატების შესახებ.

◆ 9 ივნისს **სეტყვამ** ბორჩალოს მაზრაში 234 კომლი 23,820 მანეთით დააზარალა. ამავე დღეს დაისეტყვა თეთრ წყაროს (ტფ. მაზ.) სოფლის საზოგადოება. ზარალი 57,150 მანეთამდე იქნება. 5 ივნისს სეტყვამ სოფ. ვაქირი (სიღ. მაზ.) 15,000 მანეთით დააზარალა.

◆ **ბელაგორი.** 14 ივლისს, ღამის 10 საათსა და 30 წუთზე, საშინელი ნიაღვარი მოვიდა, რომელმაც წაილეკა რკინის გზის ლიანდაგი. მე-148 ვერსზე ჩამოწვა ზვავი, რამაც მატარებლების მიმოსვლა ბელაგორს და მარელისს შუა შეაჩერა. ჯერ არ არის გზა გაწმენდილი.

◆ დღეს, 16 ივლისს, ღამის თავ-შესაფარში ხარფუხს ექიმი [illegible] წაიკითხავს **თათრულს ენაზე სახალხო ლექციას ხოლერის** შესახებ. ლექცია დაიწყება საღამოს 6 საათზე.

◆ **ახალქალაქის მაზრის სასანიტარო** კომისიამ უკვე დანიშნა სასანიტარო მზრუნველები სოფლებსა და დაბებში და სახელმძღვანელოდ დაურიგა თვის მიერ შემუშავებული ინსტრუქცია.

◆ **კალიისა, მინდვრის თაგვებისა** და სხვა მავნე მწერების გასაჟლეტად ამიერ-კავკასიის საერობო თანხიდან წელს გადაიდო 15,000 მან.

◆ ტფილისის სასანიტარო კომისიას გადაწყვეტილი აქვს, ქალაქის **ქუჩებისა** და **მოედნების წესიერად მორწყვა** დაიწყოს 20 ივლისიდან.

◆ გუშინ, 15 ივლისს, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში გაემგზავრა საგუბერნიო ექიმი ქიქოძე. საგუბერნიო ექიმმა უნდა დაათვალიეროს სამაზრო ქალაქები და **საზღვარზე მდებარე სოფლები** და გაიგოს სანიტარული მდგომარეობა.

◆ კავკასიის სამკურნალო გამგეობამ განიხილა და დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა კავკასიის **საბებიო ინსტიტუტის** შესანახად ამა 1904 წლის 1 ივლისიდან მომავალ სამის წლის განმავლობაში. წლიწადში ინსტიტუტისათვის გადაიდო 40,486 მან.

◆ 13 ივლისს ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა, შეიძინოს გალკინის ფირმისაგან 38 ახალი **დიდი ფარანი**, ვაშინგტონისა—40 და „სვეტისაგან“ 47 ფარანი.

◆ ინჟინერ-ტეხნიკოსმა ჩახმახჩაზიანცმა შეატყობინა გუშინ სასანიტარო კომისიას, რომ მადათოვის კუნძულის მტკვრის ნაპირები უკვე გავასუფთავეთ; 15 ივლისს მუშათა ერთი დასი დაიწყებს მუშაობას ვერის ხიდს ახლო სახერხავებისა, მტკვრის ნაპირებისა და ადგილების დასასუფთავებლად. დიდუბემდე მტკვრის ნაპირებს გავასუფთავებთ 17 ივლისამდე და შემდეგ მუხრანის ბორანიდან დავყვებით ორთა-ჭალამდეო.

◆ 13 ივლისს პურისა და ხორცის ნიხრის დამწესებელმა კომისიამ დაადგინა, სთხოვოს ქალაქის გამგეობას დაავალოს სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებს ყოველ დღე, დილის 7 საათიდან 10 საათამდე, თვალყური ადევნონ ქალაქში ხორცის გაჭრობას. თუ ეს მოუხერხებელია, მაშინ ერთი აგენტი ამ საქმისათვის დაინიშნოსო.

◆ ქალაქის მე-X ნაწილის სასანიტარო მზრუნველმა ხმ. ნ. ხუდადოვმა სთხოვა გუშინ ქალაქის სასანიტარო კომისიას, ჩემს თანაშემწეებად დანიშნეთ სტუდენტები გ. ო. ოჰანეზოვი, გ. ი. აირონისა და გ. მ. ტკაჩოვიო.

◆ პოლიციელნი და ადგილობრივნი მცხოვრებნი ატყობინებენ ტფილისის სასანიტარო კომისიას, დიდ-ძალი საბინძურე ყრია და იყრება რკინის გზის ლიანდაგებს გვერდით და იღონეთ რამე გასასუფთავებლადაო.

◆ 14 ივლისს ჩხუბი მოსვლიათ მიხეილ ზურაბოვსა და იაგორ ოჰანეზოვს. ზურაბოვს უძვრია ხანჯალი და ოჰანეზოვი მძიმედ დაუჭრია მუცელსა და თავში. დამჭრელი დააპატიმრეს.

◆ ელისაბედის ქუჩაზე მილოვის სახლში მცხოვრების დავით რევანისისთვის, 13 ივლისს, იმის შინ არ ყოფნის დროს, ქურდებს მოუპარავთ ოქროს, ვერცხლისა და სხვა ძვირფასი ნივთები 746 მანეთისა. ეჭვი მიიტანეს მოსამსახურეს პანაფიდინაზე, რომელიც დააპატიმრეს.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა აცნობა გუშინ ქალაქის სასანიტარო კომისიას, რომ მეტად უსუფთაოდ ინახება ყველა უბანში საზოგადოდ ფეხის ადგილები. საჭიროა ეხლავე დაასუფთავებინოთ და ასფალტით დააგებინოთო.

◆ გრაკალი. 14 ივლისს, საღამოს რვა საათზე, როდესაც საქონლის მატარებელი მიდიოდა, უეცრად გადმოვარდა ორთქლმავალიდან მემანქანე ბურდუჟენი და ძლიერ დაშავდა.

რუსეთის ქრონიკა

◆ გაზ. „რუსკ. ვედ.“-ის მოუვიდა სამძიმრის მრავალი დეპეშა და წერილი ჩეხოვის გარდაცვალების გამო. სხვათა [illegible] განსაკუთრებულის ყურადღების ღირს[illegible] კოვის ასოთ-ამწობთა წერილი შემდეგი შინაარსით: „ჩვენ, ასოთ-ამწყობლები, [illegible] საკუთრებულის სიყვარულით ვაწყობთ ზოგიერთ ხელნაწერებს. ამ ხელნაწერების დარგს ეკუთვნოდა განსვენებულის ჩეხოვის ნაწერები. იგი ყოველთვის მკაფიოდ, გარკვევით სწერდა და მისი ნაწერები იმდენად საინტერესო იყო, რომ ასოთ-ამწყობი მუშაობის

როს ძალა-უნებურად შედგებოდა ხოლმე და ხმა-მაღლივ უკითხავდა ამხანაგებს ჩეხოვის ხელნაწერს.“ ასოთ-ამწყობლების მარტივი, გულ-წრფელი სიტყვები მეტად საგულისხმიეროა და ჩეხოვის ღირსების ნამდვილი გამომხატველი.

✦ გაზ. „რუსკ. ვედ.“-ს სწერენ, მინისტრთა კომიტეტმა უარჰყო ერობათა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ადგილობრივ მეურნეობის გასაუმჯობესებლად ეუქმებიათ 10 წლის ვადით საადგილ-მამულო სახელმწიფო გადასახადი.

✦ „პრავიტ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია: „შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება მიენიჭა უკრძალოს 1904 წელს ერობათ სტატისტიკურ ცნობების შეკრება იმ გუბერნიებში, სადაც ამას მინისტრი საჭიროდ დაინახავს, ადგილობრივ პირობათა მიხედვით.“

✦ „კანონთა კრებულში“ დაბეჭდილია ცნობა იმის შესახებ, რომ მთავრობის განკარგულებით გაუქმებულია ფინლიანდიაში თანამდებობა საერო რუსულ სკოლების დირექტორისა და ფინლიანდიაში დაბალ და საშუალო რუსულ სასწავლებელთა გამგეობა დაევალა პეტერბურგის სამოსწავლო ოლქში მყოფ განსაკუთრებულ დირექტორს.

✦ აგვისტოს დამდეგს საერო განათლების სამინისტროში გაიხსნება ოლქის მზრუნველთა კრება გიმნაზიებისა და უნივერსიტეტების რეფორმის შესახებ სათათბიროდ.

✦ წელს პეტერბურგში ჰმართავენ ახალ აღმოჩენათა საინტერესო საერთაშორისო გამოფენას, რომლის წმინდა შემოსავალი შორეულ აღმოსავლეთში დაჭრილთა და ავადმყოფთათვისაა დანიშნული.

✦ გზათა სამინისტრომ საჭიროდ სცნო, რკინის გზებზე საქონლის გადაზიდვის დასაჩქარებლად, შემოიღოს საქონლის მატარებლების მიმოსვლა საჭიროებისადაგვარად, და არა წინდაწინ დანიშნულ დროზე. საცდელად ამ ახალ წესს პირველად მოსკოვ-ბრესტისა და სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზებზე შემოიღებენ.

✦ ყაზანის პოლიცმეისტრის განკარგულებით, სმოლენსკის ღვთის-მშობლის ხატს, რომელიც ამ ჟამად ყაზანის კერძო სახლებში დააქვთ, უნდა გააყოლონ დამცველად უბნის ზედამხედველი და ორი პოლიციელი.

პრესსა

გაზეთ „ნოვოსტ“-ში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი გლეხის ბაზენკოსი საგლეხო საკითხის შესახებ. როგორც იცით, ამ ჟამად საგუბერნიო კომიტეტებში იხილავენ ამ საკითხს და აი, ამის გამო, სწერს ბაზენკოც. უპირველესად ყოვლისა ის სწუხს, რომ ასეთს დიდ მნიშვნელოვან საქმეს რუსის პრესა და საზოგადოება მეტად ნაკლებ ყურადღებას აქცევს:

> ძალიან მაკვირვებს, რომ ჩვენს პრესსას და საზოგადოებას სრულიად არ აინტერესებს ის საოცარი ცვლილებანი, რომელნიც ხდება ამ ჟამად ჩვენს შინაურს ცხოვრებაში. არ ვიცი, რას მივაწერო ეს გარემოება: იმას, რომ მთელი ყურადღება იაპონიასთან ბრძოლაზე აქვთ მიქცეული თუ იმას, რომ რუსების ჩვეულებრივმა დაუდევრობამ გვძლია ისევ... მე ვლაპარაკობ საგლეხო საკითხის შესახებ, რომელიც ირჩევა ამ ჟამად საგუბერნიო კომიტეტებში, და ვლაპარაკობ სერიოზულად: გლეხი რუსეთში მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას შეადგენს,—ისეთ უმრავლესობას, რომ მასთან შედარებით ყველა სხვა წოდება ერთად ზღვაში წვეთია. თუ ამასთანავე გავიხსენებთ, რომ ყველანი ვჭამთ სწორედ იმ პურს, რომელიც თავისთვისა და ჩვენთვის დაუმუშავებია გლეხს, რადგან არავითარი ინდუსტრია, არავითარი სიმდიდრე არ შეიძლება იყოს უმიწა-წყლოდ და მიწასაც არ შეუძლია გროშის სარგებლობა მოუტანოს „ბატონებს“, თუ მიწა გლეხის ოფლით არ იქმნა მორწყული; თუ გავიხსენებთ, რომ სწორედ ამავე გლეხს მოუგერებია ათასი გარეშე მტერი და ეხლაც გლეხი იხოცება ათასობით ბრძოლის ველზე;—თუ ყველა ამას გავიხსენებთ, სწორედ ნამდვილ უსამართლობად უნდა ჩავთვალოთ ხსენებული გულგრილობა გლეხთა სვე-ბედისადმი. ეს კიდევ ცოტაა: ჩვენი უსამართლობა იქამდის მივიდა, რომ თვით გლეხებსაც ვუკრძალავთ თავიანთ მდგომარეობაზე იფიქრონ და სიტყვა სთქვან. წარმოიდგინეთ: საგუბერნიო კომიტეტებში, სადაც ეხლა მათზე სჯა-ბაასი აქვთ, ერთი გლეხი რა არის, ერთი გლეხიც კი არ მიუწვევიათ. ვთქვათ გლეხს არა აქვს იმდენი ცოდნა და განვითარება, რომ კანონებზე მსჯელობა იქონიოს, იმის თქმა ხომ შეუძლია, რა უფრო სტკივა, რა და რა გასაჭირი აქვს?! ამის საკითხავად მაინც მიეწვიათ გლეხები ახლანდელ კომიტეტებში?! იქ კამათობენ და ბჭობენ ისინი, ვისაც არც არაფერი გაეგება სოფლის ცხოვრებაში და არც არაფრად აინტერესებს გლეხის ყოფა-ცხოვრება, მისი სვე-ბედი... პრესსას რაღა ღმერთი გაუწყრა: ის რატომ-ღა სდუმს?! ჩვენმა პრესსამ მაინც ხომ კარგად იცის, რა დიდ მნიშვნელოვანი საგანია საგლეხო კანონმდებლობის შეცვლა?.. ჩემის აზრით, გლეხთა მრავალრიცხოვან წოდების სვე-ბედი და მომავალი ბევრად უფრო საყურადღებოა, ვიდრე შორეულ პორტ-არტურისა, მანჯურიისა და კორეის სვე-ბედი. ჩვენი დიდება და ძალა, ჩვენი ძლიერება და კეთილდღეობა იქ, შორეულს აღმოსავლეთში-კი არ არის, არამედ აქ, სახლშია, აი იმ „უმცროს ძმაში“, იმ გლეხში, რომელსაც ასე ფუქსავატურად და დაუფიქრებლად აბუჩად ვიგდებთ. თუ იმის ყოფა-ცხოვრებას ვერ გავაუმჯობესებთ, თუ იმის კეთილდღეობისათვის არ ვიზრუნებთ, ფუჭი იქნება ყოველი ჩვენი ცდა გარეშე მტრის ძლევის საქმეში და ყველაფერშიაც...

⁂

„ვოსტოჩნოე ობოზრენიე“ ბევრსა სწერს იმ გაჭირვების შესახებ, რომელშიაც ჯარში გაწვეულთა ოჯახები ჩაცვივდნენ.

ბევრს სახლში სარჩენი შვიდი რვა სულია, უმთავრესად პატარა ბავშვები. სად უნდა წავიდეთ და თავი შევინახოთ, იძახიან დედები. თუ მოსამსახურეთ წავლენ, არ იციან, ბავშვები ვის კისერზე დასტოვონ. ასეთ ოჯახებს მცირე შემწეობა ეძლევათ ხაზინიდან, მაგრამ რას უზამს ასეთი შემწეობა დიდ ოჯახს. ეხლა აქ ყველაფერი საოცრად ძვირია. მარტო ერთ ბლაგოვეშჩენსკში 600 ოჯახია ისეთი, რომელთაც წვრილი შვილები ჰყავთ. ძნელი სათქმელია, რა მოელით ამ ოჯახებს რამდენისამე თვის შემდეგ. შიმშილობა აუცილებელია.

სკოლა და ჰიგიენა

Mens sana in corpore sano.

რამდენადაც შეგნებულია რომელიმე ერი, იმდენად უფრო დიდ ყურადღებას აქცევს მოზარდ თაობის აღზრდას. ასეთი ერი აღზრდის ფარგლში ათავსებს ახალთაობის არა მარტო გონებრივ და ზნეობრივ განვითარებას, არამედ ფიზიკურსაც, რადგან ჯანმრთელობა ხალხის კეთილდღეობაა. ამ მარტივ მოსაზრების სიმართლეს მკითხველი დარწმუნდება, თუ გაიცნობს, მაგ., შვეიცარიის სახალხო სკოლას.*) ჩვენი სახალხო სკოლა—რა ტიპისაც უნდა იყოს იგი, რომ შევადაროთ ხსენებულ სკოლას, ნათლად დავინახავთ ერთის მხრივ, რამდენად ჩამორჩენილია ჩვენი სკოლა ყველაფერში და მეორეს მხრივ—რამდენად მშვენიერ პირობებშია შვეიცარიის სკოლა. აზრად არა გვაქვს ჩვენის სკოლის ანორმალურ მხარეებს დაწვრილებით შევეხოთ, გვსურს მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ ჩვენი სახალხო სკოლები თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ჰიგიენურ პირობებს, რომელსაც დიდი გავლენა აქვს მოსწავლეების ფიზიკურ განვითარებასა და იმათ ჯანმრთელობაზე. ჩვენი სასწავლებლები, რომელნიც მასწავლებელთ უმზადებენ სახალხო სკოლებს, ჯერ-ჯერობით ვერ დარწმუნებულან, თუ რამდენად საჭიროა მასწავლებლისთვის ჰიგიენა, განსაკუთრებით სკოლის ჰიგიენა. მასწავლებელი რამდენადაც კარგი პედაგოგი და ფსიხოლოგი უნდა იყოს, იმდენად კარგი ჰიგიენისტიც ვიმეორებთ, არავითარ ჰიგიენურ ცოდნას არ იძლევა ის სასწავლებელი, რომელიც მასწავლებლებს ისტუმრებს მეტის-მეტად სიმპატიურ ასპარეზზე საშრომოდ. უფრო სამწუხარო ისაა, რომ ჩვენს პედაგოგებს და ექიმებს თითქო პირობა შეუკრავთ და მოწყობილ საქმეს ურიგდებიან.

ჰიგიენა—ჰიგიეა, ან მრთელობის ღმერთი უწინდელ ბერძნებისა—მეცნიერებაა, რომელიც იმ გარეგან პირობებს იკვლევს, რომელზედაც დამოკიდებულია ადამიანის ჯანმრთელობა და იმის სხეულის სადი განვითარება. ამ მეცნიერებას აზრადა აქვს ავადმყოფობის მიზეზები გაუთვალისწინოს კაცს, გააფრთხილოს იგი ავადმყოფობისაგან და არა ავადმყოფობისაგან განკურნოს, რაც პირდაპირ საქმეა ექიმობისა. სკოლის ჰიგიენა საზოგადო ჰიგიენის ნაწილია. ამ ნაწილის უმთავრეს საგანს შეადგენს სკოლის შენობების ჰიგიენურად მოწყობა, სამოსწავლო საგნის მოწესრიგება ისე, რომ არ შეფერხდეს როგორც გონებრივი, ისე ფიზიკური განვითარება მოსწავლეებისა.

სკოლებში ჰაერის სისუფთავეზე ზრუნვა ერთი უმთავრესი საქმეა. სანამ იმაზე ვიტყოდეთ რასმე, თუ რამდენად ცუდი გავლენა აქვს სხეულზე გაფუჭებულ ჰაერს, უადგილოდ არ მიგვაჩნია გავკვრით მაინც შევეხოთ რისგან შესდგება და რა მნიშვნელობა აქვს ჰაერს სხეულის სიცოცხლისათვის. სუფთა ატმოსფერის ჰაერი, რომელსაც ჩვენ ვისუნთქავთ, შეზავებულია რამდენისამე გაზისაგან: მჟავ-მბადისა (ჟანგ-მბადისა), აზოტისა, ნახშირის სიმჟავისა და წყლის ორთქლებისაგან. სხეულის სიცოცხლისათვის უსაჭიროესია მჟავ-მბადი. ამიტომ გაზის მნიშვნელობაზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას. ეს გაზი ჰაერიდან ხელოვნურად გამოკრებილი, უსუნო-უგემო და უფერულია. ამ გაზის უმთავრესი თვისება ისაა, რომ ხელს უწყობს მოჟანგებას ანუ წვანთებას. ჩვენს სხეულში მუდმივ ხდება წვა-ნთება რომლის შედეგიც ის არის, რომ ნახშირის სიმჟავე მატულობს სხეულში. ჩასუნთქული და ამოსუნთქული ჰაერი რომ შევადაროთ, დიდს განსხვავებას დავინახავთ. მაგ. ჰაერის რამდენიმე 100 ნაწილი

	ჩასუნთქული:	ამოსუნთქული:
მჟავ-მბადი	20,81	16,06
აზოტი	79,15	79,55
ნახშირის სიმჟავე	0,04	4,38

აქედან სჩანს, რომ სუნთქვის შემწეობით კლებულობს მჟავ-მბადი, აზოტი თითქმის არ იცვლება, ხოლო ნახშირის სიმჟავე მატულობს, როგორც შედეგი ჩვენის სხეულის ნაქსოვების და მჟავმბადის შეერთებისა, ანუ წვანთებისა (მოჟანგებისა.).

ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვის შემწეობით ფილტვებში სისხლი ერთის მხრივ თავისუფლდება ნახშირის სიმჟავისაგან და მეორეს მხრივ—იჟღენთება ჩასუნთქულის ჰაერის მჟავ-მბადით. როდესაც სისხლი მამოძრაობს სხეულში და ჰბანს სხეულის ყოველს პაწაწინა ნაწილს, სისხლის წითელი ბუშტები მათში მყოფ მჟავმბადს აწვდიან სხეულის ნაქსოვებს. ამ შემთხვევაში სისხლის წითელი ბუშტები სარგებლობენ სუფთა ჰაერის მჟავ-მბადით, რასაც ეს ბუშტები თვით იღებენ ფილტვებში ატმოსფერის ჰაერიდან. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ადამიანი სიცოცხლეში მეტ დროს ატარებს სახლში, შიგნით და არა გარედ, ატმოსფერის სუფთა ჰაერზე. რამდენიც უნდა იმეცადინოს ადამიანმა, შეუძლებელია სადგომში, სახლში ჰაერი ოდნავ მაინც არ გაფუჭდეს; მაგრამ ასეთ ჰაერის მავნებელ გავლენას სხეული თითქმის ვერა ჰგრძნობს. თუ ჰაერის სიცუდემ გადააჭარბა იმ ზომას, რომელიც ჰიგიენას შეუმუშავებია ამ საკითხის შესახებ, მაშინ ჰაერის ცუდი გავლენა მალე იჩენს თავს ადამიანის სხეულში. მაგ., ქარხანაში რომ შეხვიდეთ, სადაც ანტისანიტარულ პირობებში დიდძალი მუშაა, ან მატარებლის ვაგონში, რომელიც ხალხითაა სავსე და ფანჯრები დახურულია, შესვლისათანავე იგრძნობთ არა საამო სუნს. ეს იმასა ნიშნავს, რომ ჰაერს დაუკარგავს თავისი ნორმალური თვისება. თუ ადამიანი დიდს ხანს დარჩა ამისთანა ჰაერში, თავბრუს დაახვევს და სხეულს საზოგადო დასუსტებას იგრძნობს, რაც შედეგია გაფუჭებულ ჰაერის გავლენისა.

როგორც ზევით უკვე გთქვით, სუნთქვის დროს ნახშირის სიმჟავე სხეულში მატულობს და გარედ გამოდის ამ სიმჟავის საშუალებით შესაძლებელია გაგება, თუ რამდენად გაფუჭებულია ბინის ჰაერი. აქვე ვიტყვით, რომ თვით ნახშირის სიმჟავეს-კი არ მოაქვს სხეულისთვის ზარალი, როგორც ბევრი ჰფიქრობს, არამედ სხვა-და-სხვა გაზისა და მტვრის ჰაერში ნარევებს (ПРИМѢСЬ); ხოლო, სადაც ნახშირის სიმჟავე ბლომათაა, იქ ყოველთვის ბევრია მავნებელი ნარევიც. ჩასუნთქულ ატმოსფერის სუფთა ჰაერში ძლიერ ცოტაა ნახშირის სიმჟავე,—სახელდობრ 10,000 ნაწილზე 4 ნაწილი მოდის.

ჰიგიენისტების გამოკვლევით. ბინის ჰაერი შედარებით უვნებელია ჯანმრთელობისათვის, თუ ამ ჰაერის ნახშირის სიმჟავის ერთი ნაწილი არ აღემატება ათას ნაწილზე. მამასადამე. ადამიანის სხეულს ვნებას არ მოუტანს იმისთანა ჰაერი, რომელშიაც ნახშირის სიმჟავე ორ-ნახევარჯერ მეტია, ვიდრე სუფთა ატმოსფერის ჰაერში. თუ ნახშირის სიმჟავის რაოდენობა ამ საზომს აღემატა, მაშინ უთუოდ ცუდი გავლენა ექმნება სხეულზე.

რუსეთში სანიმუშო სკოლებში თითო მოსწავლეზე ნაანგარიშევია თითქმის 0,5 კუბიკური საჟენი ჰაერისა. ფაქტიურად-კი სკოლებში თვითო ბავშვზე მეტის-მეტად ცოტა ჰაერი მოდის. 1897 წელს ვორონეჟის საერობო სკოლებში გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ თვითეულ მოსწავლეზე საშუალო რიცხვით მოდიოდა ჰაერის 0,18 კუბ. საჟ., ზოგიერთში-კი 0,06—0,2. ამნაირი მაგალითი იშვიათი არ არის რუსეთის სკოლებში. ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რა ვნება შეუძლიან მოუტანოს ხალხს ასე მოწყობილმა სკოლებმა. რა თქმა უნდა, ჩვენი სკოლები ამ საერობო სკოლებზე ბევრად დაბლა დგას.

როდესაც ბავშვები სკოლის ატმოსფერის გაფუჭებულს ჰაერში სწავლობენ, მათი ყურადღება და მოსაზრება სუსტდება, ეკარგებათ სიცოცხლისადმი სიხალისე, ჰგრძნობენ რაღაც სიმძიმეს და თავის ტკივილს, სახეზე ფერი ეკარგებათ. გაფუჭებულს ჰაერში ბევრი მტვერია, უკანასკნელში კი სხვა-და-სხვა მიკროორგანიზმები, მაგ., ჭლექისა და სხვ. აქედან ცხადია, ბავშვების განვითარებაზე-კი არა, იმათ გონებრივსა და ფიზიკურს დამახინჯებაზე შეიძლება ლაპარაკი. თუ ნათქვამს მხედველობაში მივიღებთ, აღარ გაგვიკვირდება, ჰიგიენისტები რად თხოულობენ დაჟინებით: ყოველ სკოლის შენობა, როგორც სხვა ამ მხრივ სადი ბინაც, უნდა აკმაყოფილებდეს ჰიგიენურ პირობებს. რუსის ჰიგიენისტებს მხედველობაში აქვთ ის არა სასიამოვნო პირობები, რომლებშიაც ჩაყენებულია სკოლების ცხოვრება, მათი ნივთიერად უნუგეშო მდგომარეობა და ამიტომ თხოულობენ თითო მოსწავლეზე მოდიოდეს ჰაერის განსაზღვრული რაოდენობა—არა ნაკლებ 11 კუბ. არშინისა (თითქმის 0,4 კუბ. საჟ.). ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა მოსკოვის საგუბერნიო ერობა, როდესაც მიიღო წესდება სკოლების შენობათა აგებისა. თვითო მოსწავლეზე ჰაერის მინიმალურ საზომად მიღებულია 8 კუბ. არშ., არამც და არამც ამ უკანასკნელ ზომაზე ნაკლები ჰაერი არ უნდა მოდიოდეს თითო მოსწავლეზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ბევრად უკეთესი იქმნება ბავშვი უსწავლელი დარჩეს, ვიდრე ჯანმრთელობა დაისუსტოს და მით მოუმზადოს თავის სხეულში ნიადაგი ათასნაირ ავადმყოფობას.

დორპატელი

---

*) იხ. „Народныя школы въ Швейцаріи“ И. Дависъ. იურიევი, 1903 წ.

წერილები

ბათუმი. ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად მზადებას ბათუმიც შეუდგა. ქალაქის თვით-მმართველობა გაფაციცებით მუშაობს ამისათვის. სამხედრო გუბერნატორმა 24 ივნისს აცნობა ქალაქის გამგეობას სპარსეთში ხოლერის გაჩენა. გამგეობამ 25-ს უკვე მოიწვია სასანიტარო აღმასრულებელი კომისია. კომისიამ თათბირის შემდეგ დაადგინა: 1. უბნის სასანიტარო მზრუნველებმა ხშირ-ხშირად დაათვალიერონ ხოლმე თავიანთ უბნები; როცა საჭირო იქნება, შეადგინონ ოქმები და წარადგინონ წესისამებრ, მხოლოდ თავიანთ მოქმედების შესახებ ცნობები აძლიონ ხოლმე გამგეობას; 2. დაევალოს ქალაქის აგენტებს შემოიარონ თავიანთი უბნები, შეადგინონ აწერილობა სათითაოდ ყოველივე ეზოსი და ეს აწერილობა ორის კვირის განმავლობაში წარუდგინონ გამგეობას; 3. ეთხოვოს ბათუმის პოლიცმეისტერს, დახმარება და შემწეობა აღმოუჩინოს სასანიტარო მზრუნველებს ეზოების გასუფთავებისათვის მოქმედებაში; მოახდინოს განკარგულება ოქმების შედგენის შესახებ სანიტარულ კანონების დარღვევის დროს და დაავალოს მეეზოვეებს და პოლიციელებს თვალ-ყური ადევნონ, რათა ქუჩებსა და ეზოებში არ იყრებოდეს ნაგავი და არ ილვრებოდეს ნარეცხი; 4. ნაგავის გადასაყრელად დანიშნულ იქმნას ცარიელი ადგილები მდ. ანგირას ნაპირებზედ; გადაყრილ ნაგავს უნდა გადაასხან სადიზინფექციო სითხე ან მაზუთი ან კირის სითხე. გამგეობამ უნდა მოაწყოს ნაგავ დასაწვავი ადგილი; ნურიის მოედანზედ არსებულ ფეხსადგილის გადაკეთება დაჩქარებულ იქმნას; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სასანიტარო მზრუნველებმა დუქნებსა, ტრაქტირებსა და სასტუმროებს, რათა საჭმელები სუფთად კეთდებოდეს და სანოვაგე ახალი იყოს. თანახმად კომისიის დადგენილებისა, კომისია უნდა იკრიფებოდეს თვეში ორჯელ—1-სა და 15-რიცხვს. ამ ხანად არსებულ საჰოლერო ბარაკში სამოცდახუთი საწოლი გამრავლებულ იქმნას ასამდის; მოწვეულ იქმნას განსაკუთრებული ექიმი როგორც წინად იყო. ეს, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ ხოლერა გაჩნდება ბათუმში.

5 ივლისს სასანიტარო კომისიას კიდევ ჰქონდა სხდომა, რომელსაც დაესწრნენ უბნის სასანიტარო მზრუნველებიც. დაწესებულ იქმნა ორი სასანიტარო რაზმი თითო ფერშლით და საქმის მწარმოებლით. ამათ დაევალათ ეზოების დათვალიერება და საჭირო ზომების მიღება სისუფთავისთვის. ცალკე მოწვეული იქნება სასანიტარო ფერშალიც გამგეობამ უნდა გახსნას უფასო საჩაიე ხალხისათვის და ამგვარადვე უნდა მოიქცეს ბათუმის საქველმოქმედო საზოგადოებაც. ხალხში დარიგებულ იქმნება ხოლერის ასარიდებელ ზომების მისაღებად წიგნაკები ქართულსა, რუსულსა და სომხურ ენებზედ. ქალაქმა გადასდო ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად 15000 მანეთი. რადგან მუშაობა და მისვლა-მოსვლა ემატება ზოგიერთ მოხელეს, ამიტომ დადგენილ იქმნა მისვლა-მოსვლის სახარჯოდ მიეცეთ: ბათუმის პოლიცმეისტერს ერთ დროებით—600 მანეთი; იმის თანაშემწეს—250 მან; ბოქაულებს—150 მან.; მათ თანაშემწეებს—50 მან.; სასანიტარო ექიმს ა. ბეთანიშვილს—50 მ. და აგენტებს—15 მანეთი ყოველ თვეობით. ამასთანავე ამორჩეულ იქმნა სასანიტარო მზრუნველთა რიცხვის გასაძლიერებლად კიდევ ახალი თოთხმეტი სასანიტარო მზრუნველი. 12 ივლისს ქალაქი აალაპარაკა საზარელმა შემთხვევამ, რომელიც მოხდა ვლადიკავკავის ქუჩაზე, შარპანტიეს სახლში. უწმინდურობის ორმოს წმენდის დროს ორმოში ნახეს საბანში გახვეულ დამხჩვალი და ბაწრით შეკრულ დედაკაცის გვამი. როგორც ამბობენ, ეს საცოდავი მოუკლავს იმის ქმარს, რო-

მელიც მეეზოვედ იყო შარპანტიეს სახლში. მეეზოვე (რუსია) ამ ორის კვირის წინად დათხოვნილა ადგილიდან, განუცხადებია, რუსეთში უნდა წავიდეო, დაბარებული ვარ ჯარში წასასვლელადაო; მიუღ ია ანგარიში და წასულა კიდეც. როგორც ამბობენ. წასვლის წინ ცოლი დაუხრჩვია და ორმოში ჩაუგდია. ეს ორმო ზედ იმ ოთახის კარებთანაა, რომელშიაც მეეზოვე იდგა.

—

სოფ. კიწია (სამეგრელო). დადგა თუ არა ივნისი, დაიწყო კიდეც წვიმები. კვირა ისე გაივლიდა, რომ სამჯერ-ოთხჯერ არ ჩამოერეცხა ყანები, ამის გამო მუშა იძულებულია ხელმეორედ დაუბრუნდეს სიმინდს და მიაყაროს ძირში მიწა, რომ სული მოიდგას ნორჩმა სიმინდმა. ზოგი ამბობს, პარასკევს ვმუშაობთ, იმის ბრალიაო, ზოგი—რაც ყაჭობა დავიწყეთ, მას შემდეგ გვეწვია წვიმაც, სიმინდის ფერფლიც და მოუსავლობაცაო. სიმინდის ფასი ჩვენში ოთხი აბაზია, მალე მანეთიც იქნება. ბევრნი სიმართლით მოელოდნენ პარკის გაყიდვას, ეგონათ, შარშანდელივით ბევრ ფულს ავიღებთო; მაგრამ მოტყუვდნენ. ეხლა თავის ბედს ემდურიან. ვაჭრებმა დაიწყეს ყიდვა ცხრა მანეთიდან. თერთმეტ მანეთამდე ძლივს აიწია. ეს ფასი მხოლოდ ერთ დღეს იყო. ბევრს რვა მანეთადაც მოუხდა გაყიდვა. წონაში მოტყუილება ჩვენში პირდაპირ თვალწინ იციან.

სოფლელი.

—

სოფ. ლიხაური (გურია). ორი წელიწადია, რაც საპატიო მზრუნველმა ბ-ნმა ბებურ ბებურიშვილმა ლიხაურის ორკლასიან სამინისტრო სასწავლებელს შემოსწირა 3½ ქცევა მიწა. მზრუნველმა ამასთან შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ გაეხსნათ არსებულ სასწავლებელთან სამეურნეო განყოფილება. მთავრობამ შეიწყნარა იმისი თხოვნა და ამ განყოფილების მასწავლებელს ხაზინიდან დაენიშნა 400 მანეთი. მასწავლებლად დაგვინიშნეს საიმპერატორო ნიკიტის სასწავლებელში კურს დამთავრებული გ. ა. ახალაძე, რომელმაც დააინტერესა მოსწავლენი. დიდი იმედი გვაქვს ამ განყოფილებისა შემდეგში. სასწავლებლის ძველი შენობა დანგრეულ იქმნა და ვაშენებთ ახალს, უფრო ფართო შენობას, რომლის აგებაც იჯარით არის გაცემული სამი ათას მანეთად. შენობა უკვე დახურულია და სრულიად დამთავრებული უნდა ჩაგვაბარონ მოიჯარადრეებმა სექტემბერში.

ნიაბაურელი

—

თიანეთი. ხშირად, უფრო-კი ზაფხულობით, მოაგარაკენი უჩივიან და ჰკიცხავენ ქალაქს ყურადღებას არაფერს აქცევს ქალაქის თვითმმართველობა, ქუჩები ქუჩებს არა ჰგავს, ბაღი—ბაღს. განათება არ არის ხეირიანი და ბევრი კიდევ სხვა. ემდურებიან ქალაქის მოურავს, ნაცვალს და რწმუნებულთ. ბევრი სამდურავი სიმართლიანია, მაგრამ ზოგი-კი გადაჭარბებული. მთელი ქალაქის შემოსავალი 13,695 მან. შეიცავს. შემოსავლის მომეტებული ნაწილი იხარჯება თვითმმართველობის (3242 მან.) და პოლიციის (2354 მან.) შენახვაზე. ქალაქის მოწყობისათვის გადადებულია მხოლოდ 2584 მან. ამ ფულიდან განათებისთვისთვის 1786 მან., ბაღისთვის —240 მან. და სხვა. რასაკვირველია, ასეთ მცირე თანხით ყველაფერი რიგზე ვერ გაკეთდება, მაგრამ ამ ფულითაც შეიძლება უმთავრეს და აუცილებელ საჭიროებების დაკმაყოფილება. 240 მანეთით ჩვენი საზოგმანებელი ბაღი ვერ აყვავდება. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ამ ფულით უნდა დაიგავდაწმინდოს, მოევლოს, ხეები დაირგოს, მოიჭრას და მოირწყოს კიდეც. ყოველ დღე ან კვირაში ერთხელ რომ სულ ირწყვებოდეს და სასეირნო ხეივნებიც რიგიანად მოევლოს, ეს ფული მარტო ამას არ ეყოფა. 1786 მან. უნდება 170 უბრალო ფარნის (შარშან ამდენი იყო და წელს, მგონი, არ მოუმატებიათ) განათებას. განა ამით შეიძლება ყველა ქუჩები ხეირიანად განათდეს?! მაგრამ მომიჭრიან სიტყვას, რომ ბევრჯელ ამასაც არ ანათებენ და თუ მთვარეს მოჰკრეს თვალი, მაშინ ხომ ფარნების ანთება ცოდვად მიაჩნიათო. ეს-კი მოიჯარადრის საქმეა. ქუჩებიც მოურწყავია. შარშან ზაფხულს ერთი ქუჩის მოკირწვლა მაზრის უფროსმა იკისრა მემამულეების ხარჯზე. მოკირწვლა გაათავეს, ფული-კი ზოგმა გამოიღო, ზოგმა არა. ეხლაც ათ თუმანს მოსაცემს არიან, შემომჩივლეს ხელოსანმა სპარსელებმა, და მათი საქმე სასამართლოს გადასცეს, რადგან ნებით არ იძლევიანო.

დიმიტრაშვილი.

—

სამაშეთი (ქვემო ქართლი). წარსულ წელს ხანგრძლივ თოვლისა, გამუდმებულ წვიმებისა და ქარსიცხეების გამო ქვემო ქართლში ვერ იყო კარგი მოსავალი. ამიტომაც აქაური გლეხ-კაცობა დიდ გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი თითქმის ყველა დაიმშა. არ იცოდნენ, რით გამოეკვებნათ თავი ახალ მოსავლამდე, რა საშუალებით ეყიდნათ სიმინდი ან პური, რით გასძღოლოდნენ ათას გვარ მოთხოვნილებას და ოჯახს,—აი რა აღონებდა ჩვენ სოფლის მუშა კაცს. თუმცა, საზოგადოდ, ჩვენში ხელვიწროობა იყო, ან როგორც ფულის პატრონები იტყვიან ხოლმე, ქესატობა, მაგრამ პირისათვის როგორმე უნდა გაეძლოთ ხვალის იმედით და ეყიდნათ სარჩო. უმრავლესობა იძულებული იყო, თუ მეტი არა, ნახევარი წლის სარჩო მაინც სხვა სოფლიდან ან და გორისა და ცხინვალის ბაზრებიდან მიეტანათ. ჩვენ არ გვეგონა, რომ ამას აქაური გლეხი შესძლებდა წრეულს. საითკენაც მიიხედავდით, ყველგან სიღარიბე, ყველგან სისაწყლე სუფევდა; ზოგის ოჯახში წყალიც კი არ გამოზარდა მარხვასა თუ ხსნილში; მარტო მჭადით იკვებებოდნენ და ლობიოც კი სანატრელი იყო. გაზაფხულზე აქეთ მოსავალს კარგი პირი უჩანდა, იძახდნენ, წრეულს კი გაგვიღიმა ბედმა და გამოვალთ გაჭირვებიდანაო, მაგრამ დაჰკრა რაღაც ნიავმა და იმედი გაუცრუვდათ. აქ უკვე გახურებული მუშაობაა: რიგი მკის, რიგი პურს ლეწავს, მაგრამ რა გამოვიდა, რაც თვალად სჩანდა, იმის მესამედი გამოსავალიც არ არის. რა ჰქნას გლეხმა, რითი გაუძღვეს მებატონეს, მღვდელს, ერს და საიდან გამოჰკვებოს თავისი თავი და ოჯახი. წელსაც ისეთ გაჭირვებას უნდა მოელოდეს აქაური გლეხ-კაცობა, როგორიც შარშან იყო. ეს მექვსე წელიწადია, რაც ამ სოფელში თავად დიასამიძემ შეიძინა ვენახის სასხურებელი მანქანა და დაუწყო წამლობა თავის ვენახს. აქაური გლეხ-კაცობა ეჭვის თვალით უცქეროდა ამ საშუალებას, თუმცა ყველა ჰხედავდა, რომ თავ. დიასამიძის ვენახი გაცილებით მეტ მოსავალს იძლეოდა და ვაზიც უმჯობესდებოდა. ამას კარგად დააკვირდა აქაური გლეხ-კაცობა და თითქმის ნახევარზე მეტმა დაუწყო წელს წამლობა. ეხლა დანარჩენიც იმას გაიძახის, კვლავისთვის ურიის ვალში ჩავდგები და მაინც ვუწამლებო. აქაური გლეხობა აბრეშუმის ჭიის მოყვანასაც შისდევს, მაგრამ ისე თვალ საჩინოდაც არა ჯერ. ამ სოფელშივე არსებობს ერთ კლასიანი სამრევლო სკოლა. მოსწავლეთა რიცხვი სკოლაში მეტად მცირეა (10—15). ვაჟებს მშობლები არა ჰგზავნიან სკოლაში. სკოლის ნაცვლად საქონელს აძოვებინებენ და მინდვრად ამუშავებენ.

ს. ტიტ—ძე.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 ივლისი

პეტერბურგი. ცნობაა მიღებული, რომ 15 ივლისს, დილის 10 საათზე ვარშავის რკინის გზის სადგურთან მოჰკლეს შინაგან საქმეთა მინისტრი ვ. კ. პლევე იმ დროს, როცა ის ბალტიის რკინის გზის სადგურისაკენ მიდიოდა. კარეტას ქვეშ ყუმბარა შეაგდეს. მოკლულია მინისტრი და მეეტლე.

პორტ-საიდი. („რეიტ. სააგ.“). რუსეთის მეზღვაურნი გადმოვიდნენ „სკანდიისა“ და „არდოვიდან“ და გემ „ცესარევიჩ“-ით ადესაში წავიდნენ.

ვაშინგტონი. („რეიტ. სააგ.“). სახელმწიფო დეპარტამენტს „პორტლანდ მილლიონ კომპანია“-მ საჩივარი წარუდგინა იმის შესახებ, რომ რუსებმა ხელში ჩაიგდეს ჰამბურგ-ამერიკის გემ „არაბია“-ზე ამერიკიდან გაგზავნილი ტვირთი. დეპარტამენტმა განიხილა კანონები და წინათ მომხდარი ამგვარი შემთხვევანი და გადასწყვიტა დაუყოვნებლივ მხნედ შეუდგეს საქმეს. ვექილი აცხადებს, რომ ფქვილი გემ „არაბია“-ზე არ წარმოადგენდა სამხედრო კონტრაბანდას და ჩვეულებრივი სავაჭრო ტვირთი იყო. ეს ტვირთი არც ომის საჭიროებისათვის და არც იაპონიაში გასაგზავნათ ყოფილა დანიშნული. დეპარტამენტს ჯერ არ წარუდგენია განცხადება „ნაიტ-კომმანდერ“-ის შესახებ. ალბათ დეპარტამენტი გადასწყვეტს, რომ სანეიტრალო გემების დალუპვის გამართლება შეუძლებელია.

ლონდონი. („რეიტ. სააგ.“). გემ „ფოქსტოლპოლ“-ის მეზღვაურებმა (ეს გემი პორტ-არტურის რეიდზე იდგა იმ დროს, როცა იაპონელებმა პირველად დაუშინეს ყუმბარები ქალაქს) საჩივარი წარადგინეს ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროში იმის შესახებ, ვითომც რუსებს წაერთმიოთ მათთვის მთელი ქონება. სამინისტრომ უბძანა მატროსებს ყველა დაკარგულ ნივთების სია შეადგინონ და ფიცის ქვეშ ხელი მოაწერონ.

14 ივლისი

პარიზი. 13 ივლისს, პრეზიდენტის ლუბეს საპატიო თავმჯდომარეობითა და დელკასეს თავმჯდომარეობით, დაარსდა გარეშე საქმეთა სამინისტროს მუზეუმი. გაზ. „ფიგარო“ იტყობინება, რომ მუზეუმში არის იმპერატორის ვილჰელმის ცნობილი სურათი „ევროპის ერნო, დაიცავით თქვენი უწმიდესი საკუთრება.“ მუზეუმში ინახება აგრეთვე კალამი, რომლითაც ბისმარკმა ხელი მოაწერა საფრანგეთ-გერმანიის შერიგების თავდაპირველ პირობებს.

სტამბოლი. („კორესპ. ბიურო“). მეამბოხეთა მეორე რაზმიც მოვიდა ბოლგარიიდან მაკედონიაში. მეამბოხეთ თან ჰქონდათ ბევრი დინამიტი. მეამბოხეთა ბელადი მოკლულ იქმნა. აღმოჩნდა, რომ იგი ბოლგარელი ოფიცერი იყო.

ლონდონი. ინდოეთის სტატს-სეკრეტარმა ბროდრიკმა პალატაში განაცხადა, შეუძლებელი არ არის ტიბეტთან მოლაპარაკება განვაგრძოთ იმ დროისა, როცა ჩვენი ექსპედიცია წინ წაიწევსა, თუ, რასაკვირველია, ტიბეტელები რწმუნებულებს გამოგზავნიანო.

15 ივლისი

ოისტერბეი. („რეიტ. სააგ.“). დღეს რუზველტს ოფიციალურად ეცნობა, რომ სარესპუბლიკო კომიტეტმა დანიშნა იგი პრეზიდენტის ადგილზე კანდიდატათ. რუზველტმა კანდიდატობის მიღებაზე გამოაცხადა თანხმობა და სიხარული იმის გამო, რომ იგი სრულიად თანაუგრძნობს კონვენტის მიერ გამოთქმულ პრინციპებსა და დადგენილებათ.

სოფია. (საკ. კორ.) საქმის მცოდნე წრეებში გადაჭრით უარჰყოფენ იმ ამბავს, თითქო მანლიხერის თოფებით შეიარაღებულ მაკედონელნი მეამბოხენი რილის ახლოს საზღვარზე გადასულიყვნენ; სიმართლეს მოკლებულია აგრეთვე ის ამბავი, ვითომ პორტას მიენდოს თავის კომისრისათვის, მოეთხოვნა ბოლგარიის მთავრობასაგან ამ შემთხვევის განმარტება.

პეტერბურგის ბირჟა, 13 ივლისი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,00	
ბერლინისაზე 100 მარკაში	46,00	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—	
ლონდონისაზე ჩეკები	94,75	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	—	
ბირჟის დისკონტი	6-7½%	
4% სახელმწიფო რენტა	92½	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . . .	—	
4½% შინაგანი სესხი 1903 წ. . . .	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. .	88⅞	
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. .	392½	
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	303	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	262	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. . .	—	
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. . .	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—	
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა. .	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . .	--	
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	187	„

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (2 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

ერივან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს. 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 1 ს. 10 წ. 2 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.), 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.(; 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

შორაპნამდე: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცი (40) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილისათვის). სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

40 ვაკანსიიდან—39 დანიშნულია გარედან მოსიარულეებისათვის და 1 საზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების ნახევარ ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაიხსნას.

ვინც საზოგადოების სრულ ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არავითარი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე —უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, მიღებული სინოდალურ კანტორისაგან, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრისა და ჯანმრთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულედ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მოთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანების შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლების ხელმეორედ გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლისთანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა,—იმათ 31 აგვისტოსთვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.

აგვისტოს 25—31-მდე ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა. 1-ლ სექტემბერს სწავლა დაიწყება. დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეები, რომელნიც სკოლაში მოსვლისთანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1904—1905 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს. ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავმდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც. (15—6—7)



СѢДЕЛЬН.
СПЕЦІЯЛЬН
Безъ конкуренціи
Продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი-
ვისა, № 92, სახაფხულ-
ნის ახლოს. (წ.—17

დაიბეჭდა ცალკე წიგნად და იყიდება ქართულ წიგნის მაღაზიებში ახალი წიგნი
მამულიშვილობა
და მეცნიერება
ივ. ჯავახიშვილისა.
ფასი 15 კაპ. (10—6—8)